

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ალექსანდრე მახათაძის მიერ გაწეული  
მუშაობის შესახებ ანგარიშის (2014 წლის 14 ივლისიდან 2015 წლის 14 ივლისამდე)  
მოსახლეობისთვის წარდგენის

ოქმი №1

მუნიციპალიტეტის დასახელება: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი

სოფელი, თემი, დაბა: ჯურუყვეთის ადმინისტრაციული ერთეული, სოფელი ბაღლეფი

შეხვედრის ჩატარების თარიღი: 28.10.2015 წელი 15 სთ.

შეხვედრას ესწრებოდნენ: ჯურუყვეთის ადმინისტრაციული ერთეულის, მაჟორიტარი დეპუტატი ალექსანდრე მახათაძე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საორგანიზაციო განყოფილების მთავარი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში მაია კუპატაძე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის სამდივნოს ხელმძღვანელი ნიკოლოზ კოხანაშვილი, ჯურუყვეთის ადმინისტრაციულ ერთეულში გამგებლის წარმომადგენელი ვასილ ბურძგლა და სოფელ ბაღლეფის მაცხოვრებლები.

დეპუტატმა ალექსანდრე მახათაძემ მოსახლეობას წარუდგინა მის მიერ გაწეული მუშაობის ერთი წლის ანგარიში, მან ვრცლად ისაუბრა და შეაჯამა ერთი წლის განმავლობაში შესრულებული სამუშაოები.

დეპუტატმა ალექსანდრე მახათაძემ აღნიშნა, რომ ჯურუყვეთის ადმინისტრაციულ ერთეულში ინფრასტრუქტურული პროექტებით მოიხრეშა გზები, გაკეთდა ხიდები და გაზონები, ხოლო სოფლის პროგრამებით სოფელ ჯურუყვეთში შენდება საბავშვო ბაღი. ასევე მომავალი წლის სოფლის პროგრამაში გათვალისწინებული იქნება სოფელ ეწერში სკვერის მოწყობა.

ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორების“ თავმჯდომარემ ალექსანდრე მახათაძემ ისაუბრა ფრაქციის მიერ დაყენებულ საკითხზე, რომელიც ეხება ტორფის მოპოვებას და აღნიშნა, რომ მომავალი წლიდან ადგილობრივ ბიუჯეტში შევა ტორფის მოპოვებიდან მიღებული შემოსავალი. ასევე ისაუბრა სამება-ჯიხეთის დედათა მონასტრის სამონასტრო

კომპლექსის ტურისტულ-რეკრეაციულ ზონაში არსებული შუა საუკუნეების მენელსაცხებლე დედათა სახელობის ყოფილი მონასტრის ინფრასტრუქტურის მოწყობისა და ბაზილიკის აღდგენის და ტურისტული ინფრასტრუქტურული ობიექტების მოწყობის შესახებ. მშენებლობის საკითხთან დაკავშირებით, რომლის ერთ-ერთი ინიციატორიც იყო ფრაქცია „ქართული-ოცნება მრეწველებთან“ ერთად.

ასევე დეპუტატი შეეხო წყლის პრობლემას, რომელიც სოფელს გააჩნია და აღნიშნა, რომ მომავალი წლიდან იწყება 3 წლიანი პროგრამა, რომლის განხორციელების შედეგადაც მოიხსნება აღნიშნული პრობლემა.

შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში გაგრძელდა. მოსახლეობის მოთხოვნა იყო წყლის პრობლემის და შიდა გზების საკითხების მოგვარება.

პატივისცემით,

ჯურუყვეთის მაჟორიტარი დეპუტატი:  ალექსანდრე მახათაძე